№ 175

ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 175

ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხარასკევს, 17 აგვისტოს.

კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული და გენერალ-ლეიტენანტი **თავადი გიორგი სპირიდონის-ძე ხიმშიაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასის შვილისას და მეორე ძმისას თავადის

დიმიტრი სპირ. ძის ხიმშიაშვილის

გარდაცვალებას ტფილისში 12 აგვისტოს. პანაშვიდი ყოველ დღეა საღამოს 7 საათ. (ოლგას ქ., 4). დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, ვერის იოანე ღვთის-მეტყვ. ეკლ. მიცვალებულის გვამის განსვენება დილ. 10 ს.

(2—173—2)

კნეინა სოფიო დიმიტრის ასული და თავადი გრიგოლ ნიკოლოზის ძე დასამიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—ძვირფასისა და დაუვიწყარის მამისა და მეორე—სიმამრის თავადის

დიმიტრი სპირ. ძის ხიმშიაშვილის

გარდაცვალებას ტფილისში 12 ამ თვეს. პანაშვიდი ყოველ დღეა საღამოს 7 სათზ. (ოლგას ქ., № 4). დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, ვერის იოანე ღვთის-მეტყვ. ეკლ. მიცვალებულის გვამის განსვენება დილ. 10 ს.

(2—174—1)

გამგეობა

1827 წ. დაწესებულის

რუსეთის პირველ დამზღვეველ საზოგადოებისა

ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ იგი შეუდგა

სიცოცხლის დაზღვევას

უმთავრესი აგენტი საზოგადოებისა: გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილი. ადრესი: ქ. ტფილისი, სოლოლაკისა და სერგეევის ქუჩის კუთხე, სახლი მირზოევისა.

(3—174—1)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება **უმცროს განყოფილებასა** და ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლ სის **საშუალო განყოფილებაში** მოხდება 1901—1902 სამოსწავლ ო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. უამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კლასებში და უფროს მოსამზადებელში, თავისუფალ ვაკანსიის უქონლობისა გამო, მოსწავლეებს არ მიიღებენ.

(6—6.—4)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

მთავრ. განკარგულებანი.

—

გადაყვანილ იქმნა გორის მე-259 რაზმის პოდპოლკოვნიკი თავ. **ამილახვარი** ფოთის მე-257 ქვეითა რაზმში.

ახალი ამბავი

—

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ამ თვის დამლევს ბორჯომში ჩამობრძანდება. დიდი მთავარი ჰნახავს კავკასიის მომავალს გამოფენას და დაესწრება იმ დღესასწაულობას, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულებისა გამოა სექტემბერში განზრახული.

ფელეტონი

—

წ კ ი პ უ რ ტ ი

„სასჯელთა დებულების“ პროექტი და ფეტვაძე.—ჩვენი ბაასი და ახალის კანონის საჭიროება.—მგოსანთა სამართალში მიცემა და დასჯა.—„მოგზაურის“ მგოსნები და მათი დამაგალითება.—უცნაური შედარება.

საკანონ-მდებლო კომისიის მიერ გამოცემულ „სასჯელთა დებულების“ პროექტს ვათვალიერებდი და ვცნობილობდი, რომ ჩემი დიდის ხნის ნახავი მეგობარი ფეტვაძე წამოადგა თავს და ცნობის-მოყვარეობით მკითხა:

— შენ ეი, კანონი-ლექიავ, მითხარ ერთი, რა სასჯელია დადგენილი ესტეტიურ გემოვნების გამწარებისა და დაშხამვისათვის.

გამეცინა.

— ეგ რაღა უცნაური დანაშაული მოიგონე, კაცო? მაგისთანა არც დანაშაულია და, მაშასადამე, არც სასჯელი იქნება არა-არსებულ დანაშაულისა.

— რაო, დანაშაული არ არისო! ეს დანაშაული არ არის, შენის აზრით, როდესაც უნიჭო, უგერგილო, ხეპრე ვიგინდარანი გამოდიან სცენის ფართი-ფურთით სცენაზედ, გამოკლითებრ, და თავისის უმსგავსის ჭკვა-გრეხითა და ულაზათო, თუთუყუშურის ლაპარაკით ესტეტიურს გემოვნებას უშხამავენ ადამიანს? დანაშაული არ არის, რომ უნიჭობის საჩვენებლად ფულსაც ახდევინებენ ხალხს და ამ გვარად ორ ნაირს ვნებას აყენებენ—სულიერსა და ქონებრივს.

— ახირებულია, თქვენმა მზემ: ნუ ეწვევი რა სანახავად, ვინ გატანს ძალას? მაგისთანათა სასჯელი ის არის, რომ ხალხი გაურბის და თავიანთ უნიჭობის ქაობში თვითვე ირჩვებიან.

— ვიდრე დაირჩვებოდნენ?.. ვიდრე ხალხი ალღოს აუღებდეს და ზურგს შეაქცევდეს. ნუ ეწვევიო?.. რა ვიცი, მერე, როგორია? საქვეყნოდ ასპარეზად გამოსულა და მეც, გარეგნობით მოხიბლულს, რაღაცა მგონია. რა ვიცი, თუ გაბღენძილი, სასაცილოდ გაბუებული და გაფხვერილი არარაობა და უნიჭობაა, უვიცობის ორჩოფეხებზედ შეყენებული!.. ცხოვრების ათას ვაივაგლახით მოღლილ-მოქანცული იმისაკენ მივისწრაფი, რომ ხელოვნების წმიდა საკურთხევლის წინ შევისვენო და სული დავიმშვიდო, დავტკბე მშვენიერების ხილვით, ამისათვის ვინ იცის რა ტანჯვით მონაგარს ფულს არ ვიშურებ და... წარმოიდგინე: გამოსულა სცენაზედ ვიღაცა ყოვლად უნიჭო, შეუგნებელი და უცოდინარი და ამახინჯებს დიდებულს მოძღვარს დრამატიულ ხელოვნებისას, ამახინჯებს ისე, რომ თვით შენს სათაყვანებელს შექსპირსაც-კი შეგაძულებს და შეგაზიზღებს. მაშ, შენის სამართალით, იგი დამნაშავე არ არის და ღირსი იმისი, რომ „სასჯელთა დებულების“ რომელისამე მუხლის ძალით სამართალში იქმნას მიცემული და დასჯილი?.. არა თუ მარტო ის, მისნი გამომცემელნი, მისნი ასპარეზზედ გამომყვანნიც სამართალში უნდა იქმნენ მიცემულ ვითარცა უნიჭობის წამქეზებელნი და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის თანამონაწილენი.

— მაშ ჩვენს სცენაზედ რომ უნიჭო მსახიობი დაგენახა, იმ მსახიობსაცა და მთელს დრამატიულ საზოგადოების კომიტეტსაც სამართალში მისცემდი და დასჯიდი-მეთქი?.. ვკითხე სიცილით.

— უეჭველადაო! შესძახა ფეტვაძემ და ჩემის სიცილით ნაწყენმა შუბლი შეიკრა: მარტო მაგ სასჯელსაც არ ვაკმარებდი, სამოქალაქო დავასაც ავუტეხდი და სამართლით მოვთხოვდი: ჯერ ერთი, ბილეთის საფასურს; მეორე—ჩემ მიერ დაკარგულ დროს ღირებულობას, იმიტომ-რომ ეხლა ინგლისურ ანდაზის გახსენება არ არის საჭირო, ქართველებიც-კი მიხვდნენ, რომ დრო—ფულია, და, მესამე, იმ ზარალს, რომელიც ჩემმა სულიერმა არსებამ ჰნახა ესტეტიურ გემოვნების გაუგემურებითა და მოშხამვით, თუმცა ამ ზარალის დაფასება, ცოტა არ იყოს, ძნელი იქნებოდა. აი, როდესაც ამ ვაჟბატონებს სასჯელს გადაუწყვეტდა კანონი და დააჯარიმებდა კიდეც, მაშინ უნიჭობას ფრთები შეეკვეცებოდა და აწინდელებრ თამამად აღარ გამოვიდოდა საზოგადო ასპარეზზედ.

— კარგს ამბობ, მაგრამ, შე დალოცვილო, ნიჭი ლახუსტაკი ხომ არ არის, რომ ადვილად მოიპოვებოდეს. ხომ გახსოვს პოეტის სიტყვები,— „ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცსაო“... მერე, განა, ყველა კაცს აძლევს რა, მარტოოდენ რჩეულთ, და ისიც ხომ იცი, რომ მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ. ამასთანავე გაიხსენე, რომ რაკი ადამიანი წვეულია, თავისი თავი რჩეულიცა ჰგონია, ანუ, სხვაფრივად რომ ვთქვათ, რაკი სანახიროსთან კუც ჰბოგინებს, ისიც ფეხსა ჰყოფს გასანახირებლად. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ ყველას თავისი თავი წითელი კოჭი ჰგონია, ცხოვრების სუფრაზედ ალჩუდ წამოსკუპების ღირსად მოვლენილი. ყოველს ამისთანა სულიერს დუხჭირობას კანონი ვერ გაუწევს ანგარიშს.

— უნდა გაუწიოსო, ამიხირდა ფეტვაძე: ფალსიფიკაციას სამართლიანად სდევნის კანონი და ვაჭრებს უკრძალავს ერევნის ღვინო, ან თვის მიერ შეთითხნილი დურდო კახურის ღვინის სახელით გაასაღონ, მარგარინი ერბოდ შეატყუონ მყიდველს, თითბერი—ოქროდ, თაღლითი — მარგალიტად. მართალია, წმინდა ერბოს ბევრი ეტანება, მაგრამ ეს კიდევ არავის აძლევს უფლებას—მარგარინი ერბოს სახელით მონათლოს და ქვეყნად გამოჰფინოს. კანონი არავის უშლის მარგარინი გაჰყიდონ, მხოლოდ ერბოს სახელს ნუ დაარქმევთ და ერბოდ ნურავის შეატყუებთო. უნიჭობაც ჰგიებდეს ქვეყნად, ვინ უშლის, ოღონდ ნიჭის სახელსკი ნუ მიიკერძებს ადამიანის მოსატყუებლადა და მოსაცრუებლად. როგორც ვაჭრებს მეთვალყურეები ჰყავს მიჩენილი, რომ ხალხი არ მოატყუონ, ხელოვნების ასპარეზსაც თავისი დარაჯი უნდა ჰყავდეს, რომ უნიჭო იქ არ გააჭაჭანოს და ყოველსავე უნიჭობას სათავეშივე შეუშალოს გათამამებული ნახტომი. ასეთი დარაჯობა ხელოვნებას, სხვათა შორის, კანონდებულებამაც უნდა გაუწიოს, რომ უკულმართობა უფრო ძლიერ შევიწროვდეს და მისი მოსპობა უფრო ადვილი შეიქმნას.

— კანონ-დებულებამ რაღა სახით?

— იმ სახით, რომ უნდა სჯიდეს ნიჭის სახელით მოპარპაშე უნიჭობას და ყოველსავე იმას, რაც-კი უნიჭობას ხელს უწყობს, რომ ნიჭიერად მოაჩვენოს და დაანახვოს ხალხს თავიო, მომიჭრა სიტყვა ფეტვაძემ და აჩქარებით ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში.

გავუჩუმდი ახირებულს კანონმდებელს, გავუჩუმდი, რადგან, რა დაგიფაროთ, შესაფერი პასუხი ვერ გამოვუძებნე, რომ შევკამათებოდი და მისი უცნაურად დასასახი აზრი უარ-მეყო. იმ ფიქრში ვიყავი, თუ საიდგან რა მოევლება-მეთქი, რომ ფეტვაძემ ჩემის საწიგნე განჯინის კარი გამოაღო, წამოავლო „მოგზაურს“ ხელი და წინ დამიდო.

— აი, ამის რედაქტორ-გამომცემელს, არამც თუ დავსჯიდი, აღვუკრძალავდი კიდეც სიტყვიერების ერთს დარგს მიჰკარებოდა, რადგან, როგორც დავრწმუნდი, ამ დარგის ავ-კარგიანობის შეტყობის უნარს სრულიად მოკლებული ყოფილა.

თვალები შევაშტერე, რადგან აზრს ვერ მივუხვდი.

— გაგეგონება ვოლტერისაგან, რომ პოეზია მუსიკაა სულისაო. პოეტიური შემოქმედობაო, ამბობს შლეგელი, როგორც უნარი მშვენიერების განზრახვისა და მისის

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გუშინ, 14 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ დაბრუნდა ტფილისში გუმბრიდგან და ტფილისის სადგურიდგან პირდაპირ საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ბორჯომში. მისი უმაღლესობა ბორჯომში დაჰყოფს 17 აგვისტომდე და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში დაბრუნდება.

*** დღეს, 15 აგვისტოს, მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე სიონის საკრებულო ტაძარში მწირველი.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია კოჯრიდგან ტფილისში 22 ამ თვისათვის აპირებს გადმოსვლას.

*** გზათა სამინისტროს ამ დღეებში მიუღია კავკასიიდგან აქაურ ცხვრის მომშენებელთა შუამდგომლობა. ცხვრის მომშენებელნი სთხოვენ სამინისტროს კავკასიიდგან პეტერბურგში რკინის გზით საკლავ ცხვრის გადარეკვის დროს შეღავათი აღმოეჩინოთ ხოლმე.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტნია, გააფართოოს დედათა სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების საქმე. ამ აზრით სამინისტრო ჰფიქრობს რამდენსამე დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას ქალთათვის.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის უფროსი კლასი ამ წელს სულ 108 კაცმა დაასრულა პოდპრაპორშჩიკის ხარისხით. ამათგან 33 კაცი ამავე წლის დამლევს აფიცრობას მიიღებს.

*** რუსეთის რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ ამ დღეებში რკინის გზის უფროსებს მიწერილობა გაუგზავნა იმის შესახებ, თუ თანდათან რანაირად უნდა მოსპობილ იქნას რკინის გზებზედ გზის შემკეთებელ მოიჯარადრებისა და მუშებისათვის უფასო ბილეთების მიცემის საქმე.

*** 12 აგვისტოს, ღამე, პოლიციის მე-5 ნაწილში, არქივის ქუჩაზედ, შახნაზაროვის მზარეულს მინას კახანოვს მოუპარავს შახნაზაროვის სახლში მცხოვრების ხაილარ ბეკასლანი-ბეგოვისათვის 3700 მანეთის ოქროსა და ვერცხლის ნივთები და ფულადაც 2700 მან. სულ 6000 მან. ქურდის მოძებნა მიენდო პოლიციის მოხელეს მახვილაძეს.

*** როგორც „ცნ. ფურც“-ს სწერენ ფოთიდგან, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს განზრახვა თურმე აქვს ამ შემოდგომაზედ სამხრეთ-დასავლეთი გამაჰმადიანებული საქართველო მოიაროს და შავშეთში ტბეთის მონასტერი ჰნახოს.

*** ამ ბოლოს დროს კავკასიის რკინის გზებზედ ძალიან გახშირდა ვაგონებისა და ტვირთის სიმძიმის გამო ორთქლმავლების გზაში გაჩერება. ნუ-თუ ამას არა ეშველება-რა?

*** როგორც ცხინვალიდგან ატყობინებენ გაზ. „Т. Л.“-ს, 8 აგვისტოს სოფ. მაჩხალაში ვიღაც ბოროტ განმზრახველნი იქაურს ოსს ყაზაშვილს დაჰსხმიან თავსა და წაუღიათ 1,000 მან. ფულათა და 1,500 მან. ვექსილები. ბოროტ-განზრახველნი ახალის სისტემის თოფებით ყოფილან შეიარაღებულნი და კავკავისაკენ წასულან.

*** ბაქოს სადგურიდგან იუწყებიან, რომ 10 აგვისტოს გლეხის ცოლის ელენე ქელეინისათვის რკინის გზის მსახურს დარადაზ ბიო-ოღლის ხელი უკრავს, ვაგონიდგან გადმოუგდია და მარცხენა ხელი მოუტეხნია. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ კავკასიის გამოფენის კომისსარმა თვ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა გზათა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა,—სასურველია ამიერ-კავკასიის რკინის გზამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღოსო. გზათა სამინისტროდგან ამის შესახებ თავ. ანდრონიკაშვილმა შემდეგი პასუხი მიიღო: „გზათა მინისტრის მონდობილობით გაუწყებთ, რომ ბ-ნი მინისტრი კავკასიის გამოფენის გამართვებას დიდად თანაუგრძნობს და განკარგულება მოახდინა, რომ, როგორც-კი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსებისაგან საჭირო ცნობებს მივიღებთ, მაშინვე ეს საგანი ხელ-ახლად იქმნება სამინისტროში განხილული.“

—

ახალგაზრდა მხატვარი ტ. მომცემლიძე კავკასიის მომავალ გამოფენისათვის ექვსს სურათს თურმე ამზადებს.

ხელითუქმნელი ანჩისხატი.

ჩვენს ტფისილის ქალაქში ბევრი საქრისტიანო სიწმიდე არის დაცული და მათშორის უდიდესია ხელითუქმნელი ანჩისხატი.

ეს თვით ის ხატია, რომელიც იესო ქრისტემ ედესია ქალაქის მთავარს, სნეულს ავგაროზს გაუგზავნა და განკურნა. თუმცა კათალიკოზი დომენტი III (1704-1742 წ.) ამ ხატის კუბოს დაბლა არშიაზედ მოგვითხრობს ედესიიდგან კონსტანტინეპოლში მაგ ხატის გადატანასა და მერე ხატთმბრძოლის ვიზანტიის იმპერატორის ლევ ისავროს (717—741 წ.) დროს კლარჯეთში იანჩის საეპისკოპოსო ტაძარში გადმოსვენებასა, შემდეგ თურქთაგან სამცხესაათბაგოს დაპყრობისა ქართლისკენ წამოსვენებასა,—მაგრამ დღემდე გულდადებით არავინ გამოიძია, თუ დომენტი კათალიკოზი რაზედ ამყარებდა ეგრეთს მოთხრობასა. თვით განსვენებულმა არხეოლოგმა პ. იოსელიანმა ექვის თვალით შეხედა ამ მოთხრობას, არ ენდო დომენტი კათალიკოზსა და კითხულობს: ანჩისხატი ხომ არ არის ის ედესიის ხელითუქმნელი ხატი, რომელსაც მთელი საქრისტიანო დღესაც დაეძებსო?

ამ ორის წლის წინად შევუდექით ანჩის ხატის შესახებ ისტორიულ ცნობათა შეკრებას ერთად, მაგრამ ამისათვის უწინარეს საჭირო იყო თვით ხატის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ მაცხოვარი ტილოზედ არის გამოსახული და კაკლის ფიცარზედ დაკრული. შუბლის ირგვლივ ტილო შემოცვეთილი აქვს. ... ლება მაცხოვრისა წმინდად ... ელთა ერისაა, ამიტომ დომენ... კათალიკოზის მოთხრობას უფრ... ნდობით შევხედეთ და იმედი ... გვემატა, რომ დღეს თუ ხვალ ... მოჩნდებოდა სხვა წერილობი... საბუთი. არც მოვსტყუვდით. ... კარგად ვიცით, რომ საქართველო... სამეფო სახლსა ჰქონდა ფრია... მდიდარი წიგნთ-საცავი, აგრეთ... არსებობდა არა ნაკლებ მდიდარ... საკათალიკოზო წიგნთსაცავიც-სვ... ტისცხოვლის ტაძარში და საეპ... სკოპოსო ტაძრებში.

საქართველოს სამეფო სახლ... წევრნი ულმობელმა ბედმა აქეთ... იქით დაჰქსაქსა, საკათალიკოზ... და საეპისკოპოსო საყდარნი დაზ... რა. მათთან ერთად გაიფანტა უგზ... უკვლოდ მათი მდიდარი წიგნთ-ს... ცავებიცა: ზოგმა ლონდონში ამ... ჰყო თავი, ზოგმა პარიჟში, რომს... ვენასა, ბერლინში და უფრო მეტ... ხელნაწერნი პეტერბურგის და მო... სკოვის წიგნთ-საცავთა საკუთრე... შეიქმნა.

მაგრამ ღვთის-მშობელმა ღღე... კიდევ არ აიღო ჩვენზედ ხელ... 1884 წ. განსვენებული მეისტორ... დ. ბაქრაძე შეუდგა საეკლესიო... მუზეუმის დაარსებასა და აასრულ... კიდეც. რაც რამკი სუფრის ანაბერტყ... გადარჩა ამ ასი წლის განმავლობაში... ჩვენ ხელთნაწერთა უცხოეთისაკე... გაზიდვასა, ერთად მოიყარა თავ... და დღეს ათასზედ მეტი ძვირფას... ხელთნაწერი ამშვენებს ჩვენს მუზ... ეუმსა.

მხედველობის ხილვად და მსმენელობის სმენად შექმნისა, საზოგადოდ უზენაესი ნიჭიაო... და აი, ეს მუსიკა სულისა, ეს უზენაესი ნიჭი, ეს „სიბრძნის ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“, როგორც რუსთაველი ამკობს, „მოგზაურმა“, ანუ, უკეთ ვთქვათ, მისმა სულის შთამბერველმა ივანე როსტომაშვილმა ყველა წვეულთა ხელში სათამაშო ბურთად გარდააქცია და ვინც რა ლექსი უნდა მიუტანოს, მაშინვე „მოგზაურში“ ამოაყოფინებს თავს, თუნდა მისი მთხზველი ისევე ჰგავდეს აპოლონს, როგორც ამ ჟურნალის ობერ-პოეტი გობეჩია ჰგავს ჰომიროსს. დალოცვილი, აღარა კითხულობს, მისდა მიძღვნილს პოეტიურს ნაწარმოებში პოეზიისა ნასახი არის რამე მაინცა, ან პოეტური მადლი აბადია მისს პატრონს, ეს ყველაზედ უმშვენიერესი მადლი, კაცთადმი მონიჭებული, ან ჰარმონია აქვს, ან თავისუფალი აღმაფრენა, ან ჯანდაბა და დოზანა?.. ამას ვინა სჩივის, ნეტა უბრალო, ყველასათვის ადვილად დასანახი და საგრძნობი გარეგანი შოლაშინი მაინც უვარგოდეს ამ ლექსებს, „რითმა და მუსიკა“ მაინც მოეპოვებოდეს, „უმსგავსო და შორიშორი“ არ იყოს.

— ეგეც მეტის-მეტია-მეთქი, ვერ მოვუთმინე: აიხირებ რასმე და აღარ დაწყნარდები. არც ისე ადვილად ამუჩად აგდება შეიძლება „მოგზაურის“ ლექსებისა. სხვა არ იყოს-რა, მათმა აბუჩად ამგდებმა უნდა დაასაბუთოს მაინც თავისი აზრი.

—საბუთიო? რამდენიც ჩ როგორიც გნებავს. ნულარას ვიტყვით ვარ... ყიფიანისა, მ. სიმონაძეს ჩ მებრთა პოეტიურ ქმნილებათა შესახებ, ნულარავის ვიტყვით გრძლად ჩ გაქიანურებით, რადგან ეს მხოლოდ დროს წაგვართმევს. აი, ახირებულ რითმათა ხუხულას „დავით აღმაშენებელის“ უახირებულესი ხუროთმოძღვარი მ. გ. ლასურიძე რა ხელის-ხელს საგოგმანებელ მარგალიტებს გვიძღვნის. „დავით აღმაშენებელიო“ იყო თურმე „შემძლებელი“, „მანუგეშებელი“, „დამამშვენებელი“,

მან ბრძანა: „აღსდეგ, ქვეყანა,
აღორძნდინ ვით კეთილ ყანა,
დედისა მის ღვთისაგანა
კურთხეული ხარ რახანა.

—

ტახტს დაჯდა სხივოსან დავით,
აღტყინდა ჟამთა სიავით,
იქებაცა დევ-გმირსავით,
ზარიც გაკდა გრგვინვასავით.
მტერი აღბორგდ-აიშალა,
აქეთ-იქით დაიშალა,
ზოგი ჭკუაზე შეიშალა,
ზოგსა კვალი წაეშალა.
ასრე იყო მტრის წალეკა,
ციხე, კოშკით გამორეკა,
სასიკვდინე ხნარცვს ჩარეკა,
ანუ ქართლით გამორეკა.

ასე აქებს ენა-წყლიანი მგოსანი მეფე დავითის მხლებელთ:

მკვირცხლნი კლდეკარს შეიპარნეს,
ლიპარიტ მეყს მოიპარნეს,
აქედგანა განაპარნეს
ჩ საბერძნეთს შეაპარნეს.

სპარსთან ბრძოლის დროს ჯარს თურმე

თვით დავით წინ უვიდოდა,
ლომივითა იძახოდა,
გრიგალივითა ხუოდა,
მტერ-ლა ცვიოდა, ჰუოდა.
დაწიოკდა მახმედიან,
აიყარა სულ ერთიან,
გაიქცა, განვლო გაჩიან,
თავსლაფ სხმულ, ნაცარ-ტუტიან.

შემდეგ, დასტკბით ასეთ ლექსთაწყობით:

შოთა მკვიდრობდა შოთავარს,
შოთს უცხობდა ბერს ჩ მთავარს,
სოთსა აჰრიდა ავს ავარს,
თავს არ უხრიდა ყოველს მთავარს.
მოვიდა მეფე დავითი,
დიდ რომ არს ჩ გოლიათი,
იპყრნა ასამ შოთიათი,
აღიხვნა გრიგოლიათი.

გაიგე რამე? მაგრამ ეგ კიდევ არაფერია.

იქიდგან მოვიდნენ ლორეს,
მივიდნენ ციხეს ახლორეს,
მტერი მხეცთათვის ალორეს,
მის მძოვრ ჰყარეს მგლის სალორეს.
ჟამსა ერთს მეფის სიშორეს
თურქნი ჩამოდგეს ბოტორეს,
ყოველი ფერი მოტორეს,
მკვიდრნი ტორითა დატორეს.
გარნა მეფე არ შეშინდა,
ლიხს იმერით გადმოფრინდა,
მტრისა გუნდში შთაბრიალდა,
მტერზედ ბოლი აბრიალდა.
თებერვლის თოთხმეტს ბოტორა
მეფემან დავით მოტორა,
მტერსა მოაკლდა კოტორა,
გაშპა ვით კურდღლის კოტორა.

—

თურქი ხუთასი მოაშთო,
მრავალი მტკვარში დააშთო,
ზოგნი საბწელეთს შთააშთო,
ნეშტი-ლა ცოცხალ დანაშთო.

—

შეჰკრა თურქმა შამახია
ერთ-კერძო სხირტი ახია,
მეორეს თხრილი ჩმახია,
გარნა ჰხვდა ბედი წმახია.

ავქსონი კანიდგანა ძვრება, რომ თავისს ნაწერში აზრი და რიტმი რითმას ანაცვალოს. გაგიგონია, მაგალითებრ, ასეთი ლექსები?

დროშაცა აფრიალა,
ალამიც შეაფრიალა,
მტერიცა დაიფრიალა,
უფსკრულსა ჩაიფრიალა.

—

ალახვნა მერე კულუფა
და ლაშქარს უძღვნა ულუფა;
როქითაცა მოულუფა
და ცხენთც საზრდო უსულუფა.

—

მიხვედ შენ ქალაქსა ურბნისს,
რომელს წმიდა წყალ შეურბნის,
სიქველე უხვად მოურბნის,
სიავე მწვავედ გაურბნის...

ერთის სიტყვით, ეს, უკაცრაო პასუხია, პოემა სულ ასეთის მარგალიტებით არის სავსე და აი, ეს აბდა-უბდა-„აფრიალა“ გაჭიმულ-გაფრიალებულია მე-V, მე-VI და VII ნომრებში და კიდევ,—განიხარეთ, მკითხველნო!—„დასასრული იქნებაო“, აცხადებს „მოგზაურის“ რედაქცია.

— დაიცა, დაიცა, ეგ ლექსები რომელს საუკუნეს ეკუთვნის?

— როგორ თუ რომელს საუკუნეს? არ მესმის, რას კითხულობ?!.

— ჰო, მივხვდი: მაგისი დამწერი მეთერთმეტე საუკუნის რომელსამე მონასტერში უსაქმოდ შემწყვდეული და სიბერით გამოთაყვანებული ბერი იქნება. საბრალოს გულის გასართობად თუ ურითმავს და უჩხირკედელნია: „აფრიალა, გააფრიალა, დააფრიალა, ჩააფრიალა, წააფრიალაო“. ეგ რა მაგალითად მოსატანია და სათვალავში ჩასაგდები?!. ეგეც არ იყოს, აგეთი გრძელი მაგალითები არ ვარგა, ნუ გავიწყდება, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

— კეთილი. აი, ერთი დიდად საგულისხმიერო ტაეპი ამავე ჟურნალის მგოსნის ლევან მეტრეველ... ლექსიდგან:

„როს შემოგხედავ, გული არ დგებ...
ფოთვასა იწყებს შავს ოცნებაში,
და ვითა ნავი ღელვიანს ზღვაში (?)
იწყებს ტრიალსა ობოლსა გულში“ *)

მშვენიერებაა, განა ეს „გული“ რომელიც იწყებს „ფოთვასა შა... ოცნებაში“ (გული ოცნებაში!) ... „ტრიალსა ობოლსა გულში“!..

— რას ამბობ, კაცო, გულ... გულში ტრიალსა? ეგ რადაც... ყოვლად წარმოუდგენელია.

— შენთვის წარმოუდგენელია ... მე-კი მგონია, რომ „მოგზაურის“ რედაქცია ამ ტაეპს დაასურათებ... კიდეც ჩ პრემიად დაუგზავნის თავის... მკითხველებს. მაგრამ ანგარიში გ... ვუწიოთ ობერ-პოეტს ამ ჟურნალ... სას—მ. გობეჩიას, რომელიც, სიმ... რთლე უნდა ვთქვა, თავისზედ უ... რესსა სჯობია, ხოლო „მოგზაურის“ ხმა-ტკბილად მოღუღუნე მგოსანთ... გუნდში უეჭველად საუკეთესო... ჩაითვლება. აი, ამ „მოგზაურის“ ცაზედ ახლად მოვლენილ-მოწყვე... ტილმა ვარსკვლავმა ორი პოემ... უძღვნა ამ ჟურნალის მკითხველებ... „ფარნაოზი“ (№№ I და II) ... „ამირანი“ (№№ VI და VII).

— ჰო, აბა რა წუნსა სდებ გობ... ჩიას? ახალგაზრდა პოეტია, ეხლ... ხან გამოსული სამწერლო ასპარე... ზედ, ბევრი არ უწერია, მაგრამ რა... დასწერა, შნოსა ჩ ლაზათს ... არის მოკლებული.

— რას ეძახი „შნოსა ჩ ლაზათს“ ... მისი „ფარნაოზი“ ჩ „ამირანი“ ... რომ გასცხრილო ჩ გასცრა, ...

*) „მოგზ.“ № IV, ლექსი „ნარიკალ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

...აი ამ ხელთნაწერთა შორის № 425-... მე—625 გვერდზედ ჩვენ ვკითხუ...ობთა, „თვესა! აგვისტოსა ივ. წარ...ოყვანება ედესიითგან კოსტანტი...პოლის ხელით უქმნელისა ხატი..., რომელსა აწ ჩვენ ანჩის ხატად ...ხელ ვსდებთ.“ ამას ზედ მოსდევს ...შვენიერი ტროპარი—„ოხითა ან...ს ხატისა.“ ამის შემდეგ ჩვენ ...ცირედი ეჭვიც აღარა გვაქვს, რომ ...ართველობა მიაქცევს ყურადღებას ...მა-პაპათა მიერ გადმოცემულ სი...მიდეთა შესწავლასა და მოვლა...ტრონობას დაუწყებს.

...წმ. ქეთევან დედოფლის ნაწი...ები ბელგიელ ფრანგებს აქვთ ...ა მოწიწებით თაყვანსა სცემენ. ...ენა? ამ დროს ჩვენ არც-კი გვაქვს ...სწავლილი ჩვენი საერო წმი...ნების ცხოვრება და თავგა...სავალი. მაგრამ გაჭირვება ბევრ...ლ მოსდგომია კარს ქართველებსა ...გაჭირვებიდგან ყოველთვის ...ულწევიათ თავი. ახლა რაღა ...გვემართა? განა ერთის გაჭირვე...დგან თავის დაღწევა მეორის და ...ვ. მომასწავებელი არ არის?

მღ. პ. კარბელაშვილი.

დაბა დ სოფელი

—

ს. მიქელ-გაბრიელი (გურია). ...ქელ-გაბრიელელების უმთავრესს ...აროს ცხოვრებისას მიწის მუშაობა ...დგენს. მთელი იმედი აქაურის ...მა-კაცისა სიმინდზედაა დამყარე...ლი. თუ კარგი მოსავალი იქნა ...ინდისა, მუშას არაფრისა არ ეშინიან: ცოლ-შვილსაც კარგად გამოჰკვებს და სხვა ხარჯსაც გაისტუმრებს; მაგრამ როცა ეს ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა უმტყუნებს ხოლმე, მაშინ-კი ცუდად არის მისი საქმე. სწორედ ეს დღე ეწვია წელს მიქელ-გაბრიელელებს. ჯერ იყო და გვალვამ არ მისცა საშველი, მერმე, როცა წვიმები დაიწყო, უარესი დღე ნიაღვრებმა დააყენა. ზოგი ყანები მთლად გაუმარგლელი დარჩა და ზოგიც წყალმა წალეკა.

ღვინის მოსავალსაც ძლიერ ნაკლებს მოელის სოფლელი მუშა. უგზოობაც ასრევე ძველებურად გვაწუხებს.

მართალია, ინტელიგენტთა რიცხვი, როგორც სხვაგან, ისე აქაც თან-და-თან მატულობს, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გაუმჯობესობაზედ ნაკლებად ჰზრუნავენ: არ არის ამათში არავითარი ამხანაგური დამოკიდებულება და კავშირი და თუ რომელიმე მათგანი საზოგადო საქმესა ჰკიდებს ხელს, სხვები დახმარების მაგივრად მისს მოქმედებას გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ, აცა როდის იქნება ფეხი როგორმე გადაუბრუნდეს, რომ ყიჟინა და განგაში დავკრათ და გაზეთების საშუალებით სულ მთლად მოვთხაროთ და მიწასთან გავასწოროთო.

ამის დასამტკიცებელ საბუთად მოვიყვან შემდეგს მაგალითს; აქაურ წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგედ თავიდგანვე ბ-ნი მ. მ-ძეა, ზედამხედველი აქაურის ორ-კლასიან სამინისტრო სკოლისა. ბნ-ს მ-ძეს დიდი შრომა მიუძღვის სამკითხველოსადმი; პირველად მან მოჰკრიბა ფულ, წარმოდგენა გამართა სამკითხველოს სასარგებლოდ, გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები და დაარსებიდგანვე განაგებს მას. მართალია, სამკითხველოს დაარსების ნებართვა მას არ აუღია (ნება აიღეს თავ. ი. ნაკაშიძემა და ა. ბ-ძემ), მაგრამ სამკითხველოს დამაარსებლად მაინც ბ. მ. მ—ძე ითვლება; ის რომ არა ყოფილიყო, სამკითხველოს დარსების ნებართვა გვექნებოდა, მაგრამ სამკითხველო-კი მაინც არ გვექნებოდა. ბ. მ. მ-ძემ ბევრი სხვა გულშემატკივრობაც გამოიჩინა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში მადლობას კაცს ძალიან იშვიათად ეტყვიან. სამკითხველო რატომ არ არის კარგად მოწყობილიო, გაიძახიან ისე ზეზეურად, თორემ იმას-კი აღარა ფიქრობენ, რა საშუალებით უნდა მოეწყოს სამკითხველო უკეთ. ბ. მ. მ-ძეს თუ საქმე ვერ მიჰყავს კარგად, რატომ ამოირჩიეს შარშან და წელსაც გამგედ, როცა თვითონვე თხოულობდა—გამომცვალეთ, სხვა ვინმე დააყენეთო.

ამ წლის ,,კვალის‘‘ 23 №-ში მოთავსებულია კორესპონდენცია სოფ. მიქელ-გაბრიელიდგან. ავტორი კორესპონდენციისა მიწასთანასწორებს სკოლასაცა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოსაც. სამკითხველო, მართალია, დიდს გაჭირვებაშია, მაგრამ ეს გამგეს ბრალი როდია. „სხვას რომ თავი დავანებოთ და მარტო სწავლა-განათლების საქმე ავიღოთ, სწორედ საზარელი სურათი წარმოგვიდგება თვალ-წინ“-ო, ამბობს ბ-ნი მიქელ-გაბრიელელი. სინიდისი მაიძულებს, ჭეშმარიტება აღვიარო, რომ სწავლა-განათლების შესახებს. მიქელ-გაბრიელს არა ესაყვედურება-რა. ბავშვები აქაურს სკოლაში ძლიერ კარგად არიან მომზადებულნი და სწავლა-დამთავრებულნი ზოგნი სამეურნეო სასწავლებელში იჭერენ ეგზამენს დ ზოგნიც სამასწავლებლო სემინარიაში. მაშ ეს „საზარელი სურათი‘‘ რაღასა ჰნიშნავს, არ გაგვეგება სწორედ. აშკარაა, ავტორს ,,კვალში‘‘ მოთავსებულ წერილისას განზრახ სდომებია სკოლის დამცირება საზოგადოების თვალში.

Solo.

—

ჟურნალ-გაზეთებიდგან

—

ინგლისურ ჟურნალს „The Cosmopolitan“-ს თუ დაუჯერებთ, მალე ისე გამრავლდება ხალხი, რომ დედამიწა ყველას ველარ დაიტევს. საცხოვრებლად გამოსაყენებელი ადგილი დედამიწაზედ, სწერს გაზეთი, უდრის 52 მილიონ ოთხკუთხ მილს. ერთ ოთხკუთხ მილს ათასი კაცის გამოკვება შეუძლიან, ასე რომ როდესაც მცხოვრებთა რიცხვი 52 მილიარდამდე ავა, დედამიწაზედ „თავისუფალი ადგილი“ აღარ იქნება. თუ შემდეგშიაც ისევე გამრავლდა ხალხი, როგორც მე-XIX საუკუნეში მრავლდებოდა, 52 მილიარდი მცხოვრები დედამიწაზედ 2250 წელს იქნება, ე. ი. 350 წლის შემდეგაო, ამტკიცებს წერილის ავტორი.

***

ბერლინის სამეფო მუზეის შეუძენია საინტერესო ქვა, რომელიც სავსეა თურმე ურარტთა მეფის რუსის პირველის დროის ლურსმულის წარწერებით. ეს ქვა მცირე აზიიდგან გაუტანიათ სიძველის მკვლევართ ლემანსა და ბელკომს. ქვა ვანის მახლობლად უპოვნიათ ტეპრანკალეში. იგი მეტად მძიმე ყოფილა, ამისდა მიუხედავად ფულს არ დაუზოგიათ და ბერლინში მაინც გაუტანიათ.

***

ამას წინად შვეიცარიის მოხელეებს დაუპატიმრებიათ ახალ გაზრდა ქალთა მთელი პანსიონი.

***

პანსიონი ქალაქ მაზლიანიკოში იყო, რომელიც შვეიცარია-იტალიის საზღვარზედ მდებარეობს. სწავლის ნაცვლად ამ პანსიონის მოსწავლე-მასწავლებელნი კანდრაბანდას მისდევდნენ თურმე. მოსწავლე ქალები, უფროსის ბრძანებით, ყოველ დღე თავიანთ აღმზრდელებთან ერთად ვითომდა სასეირნოდ საზღვარზედ მიდიოდნენ და ჯიბეებით ბლომად შეჰქონდათ შვეიცარიაში პაპიროსები და სიგარები. არც ჩვეულებრივ ბაჟს იხდიდნენ და არც სხვა რამეს. პოლიციას დაუპატიმრებია როგორც 40 მოსწავლე პანსიონისა, ისე აღმზრდელნი და პანსიონის უფროსი ქალი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

13 აგვისტოს.

ლონდონი. კიტჩინერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „დელარეიმ გამოაქვეყნა საპასუხო პროკლამაცია, რომელშიაც აფრთხილებს ბურებს ჩემის უკანასკნელის პროკლამაციის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ბრძოლას განვაგრძობთ“.

შანჰაი. წყალდიდობამ იანძეს ველში დიდი უბედურება გამოიწვია და ნათესობა დააზარალა. ბევრნი დაიღუპნენ. ჰშიშობენ, რომ ზამთარში ხალხი გაჭირვებაში არ ჩაცვივდეს.

...ი არ აუვა, ბეწვის სიმსხოს შიგ ...რც პოეზიას იპოვი დ ვერც მი...გავსებას პოეზიისას. ადამიანს გაა...ვებს ამ ახალგაზრდა ვითომ-დ ...ისნის ფანტაზიის სიღარიბე, სუ...თა სიღატაკე, რითმათა განმე...ება დ ძალად-მაცხონეობა, ალაგ...აგ სრული უაზრობა დ, თან ...ძინე, ისეთი ქართული ენა, ...მელიც პროზაშიაც დასაგმობია. ...ი გაგივონია „ლექსი პროზადაო“. ...დ, გობეჩიას თამამად შეეძლო თა...ის ნაწერებისათვის წაეწერა: ...ოზა ლექსადაო“, თუმცა მაშ...ც არ ივარგებდა, რადგან უაზრო ...ებოდა დ რითმის უვარგისობა ...ქს სახელს გაუტეხდა. მაგრამ ეს ...ი აზრი ორიოდე მაგალითით ...ნიშნოთ, რომ უდიერობა არა... შემოგვწამოს. ერთის ქოხის ...ოო, მოგვითხრობს „ფარნაოზში“ გობეჩია: სდგას ვინმე „ჰაბუკი“ ...უქი“...

„სდგას დ გაჰყურებს შორს, ქვევით,
...ც მოსჩანს უცხო ქვეყანა,
...ებით, ვენახ-ყანებით
...მოფენილი ყველგანა.“

...გორ მოგწონს ეს „საც“ დ შე...მული: „ქვეყანა“ დ „ყველ...ა“. ეს ორი სიტყვა ერთად ისე ...გად შეკეთილ-ხმოვანებული ჰგო... ლექს-შეძვირებულს „მგოსანს“, ...რამდენჯერმე იმეორებს. მა...ოთებრ, „ამირანშიაც“ შეხვდე...:

„უეალმა პირი იბრუნა,
...მკვე დაუთმო ქვეყანა,
...ლნი ბოროტნი მეფობენ
...დამიწაზედ ყველგანა“.

...არ დაივიწყო, რომ „სდგას დ ...ურებს“. შემდეგ ასე განაგრძობს ...ობეჩია:

„ის მხარე ანდამატივით
იზიდავს ჭაბუკს თავისკენ,
დ ესეც უნებურადა
ისწრაფის ტურფა მხარისკენ.“

ხომ ჰხედავ: ჭაბუკი პირველს ტაეპში იდგა, მეორეში-კი „ის“ იზიდავს დ „ესეც“ ისწრაფის. არა გესმის-რა განა, ვინ არის ეს ჭაბუკი დ სდგას, თუ ისწრაფის? წაიკითხე მესამე ტაეპი,—

„მოუახლოვდა ფარნაოზს
ჯერ კიდევ მხნე დედაკაცი,
მშობელს გულს დამწუხარებულს
ის უზრდის, პირმშო ვაჟკაცი“-ო,

და დასტკბი, „ის ჩაუქი ჭაბუკი“, რომელსაც აქამდე სახელს უმალავდა მ. გობეჩია, ფარნაოზი ყოფილა დ მეორე ტაეპმა თუ ეჭვში შეგვიყვანა, „სდგას“ თუ „ისწრაფისო“, მესამე ტაეპში სრულიად გამოირკვა, რომ მდგარა, რადგან „მოუახლოვდა მხნე დედაკაციო“. ეს, ვთქვათ, არაფერი, საუცხოვოა განა რითმებად: ეს „თავისკენ“ დ „მხარისკენ“, „დედაკაცი“ დ „ვაჟკაცი“?..ესეც შევუნდოთ ნორჩს მგოსანს, აზრი გამაგებინე: ვინ „ის უზრდის“? „მხნე დედაკაცი“ უზრდის „მშობელის გულს დამწუხარებულს“, თუ „პირმშო ვაჟკაცი“ უზრდის დ რას უზრდის ერთი მეორეს?!

— ეგ არც მე მესმის, მანდ რაღაცა არეული უნდა იყოს.

— ასეა არეული დასაწყისიდგან თვით ავქსონის გვარამდე. მეოთხე ტაეპიც გნებავს, ინებე:

„ფარნაოზ დედას ყურს უგდებს,
თან სისხლი უდუღს, მჩქეფარებს,
მაკედონელის ამბითა
გულში ინთება, მგზნებარებს..“

ეს მესამე ტაეპის „მხნე დედაკაცი“ მეოთხე ტაეპში, ვთქვათ, „დედად“ გარდაიქცა, მიბრძანე ერთი: ეს გულში როგორ „ინთება“? ან, ვთქვათ, ფარნაოზი ყურს „უგდებს“, „სისხლი უდუღს“, მერე როგორღა „მჩქეფარებს“, რადგან, რასაკვირველია, თითონ ფარნაოზი უნდა მჩქეფარებდეს, თორემ სისხლის შესახებ რომ იყოს ნათქვამი ეს სიტყვა, მაშინ ასე იქმნებოდა: „სისხლი უდუღს, უმჩქეფარებსო“. აი, ასეთი გახლავთ ეს „მოგზაურის“ ობერკონდუ... თფუ, ეშმაკს!—ობერპოეტი! მ. გობეჩიას თავი „მელექსეთა კარგთა სწორი“ ჰგონია, მაგრამ ხშირად „ქართულს ვერა ხვდება“, „ლექსი ძვირობას უწყებს“ და საბრალო ძალ ად გამგოსნებული ასე მერითმეობს: „რჩეული“—„წყვდეული“(?), „დაეცა“—„მოეცა“—„მოექცა“, „ქუჩებსა“—„სტუმრებსა“, „ალაგი“—„ქალაქი‘‘ და სხ. ენის დამახინჯებას ხომ ნუღარ იკითხავ.-მიბრძანე ერთი: ,,სიმამაცობის ბეჭედი‘‘ სადაური ქართულია? ან ირემი, რომელიც უეცრად გამოხტება და მიწას ფეხს ვერ აკარებს, როგორ მოგწონს?

— რატომ ვერ აკარებს, ლურსმანი შერჭმია? და თუ ,,ვერ აკარებს‘‘, როგორღა გამოხტა?!

— რა მოგახსენო. ან კიდევ: ქუჯი მოხიბლული

მისის (ფარნაოზის) დის მშვენიერებით
ნიშნად თანხმობის, ფარნაოზს
თავს უკრავს წადიერებით.

რა არის ეს „წადიერებით თავის დაკვრა“ ეშმაკმა იცის და ქაჯმა!.. ან მშვენიერი არ არის განა: ,,ეგრის-წყალსავით მჩქეფარე გრძნობა-გონების შვილები‘‘?! თვით ამ ცუდად გალექსილ უაზრო პროზის ავქსონიც უეჭველია ,,მჩქეფარე გრძნობა-გონების შვილი‘‘ უნდა იყოს, არა!..

— კარგია, კმარა-მეთქი, შევძახე ყბედად გადაქცეულს ფეტვაძეს ამ აღნუსხულ ნაკლთა სიმრავლით თავ-მობეზრებულმა.

— არა კმარაო, აიხირა ფეტვაძემ: არა კმარა, რადგან ჯერ ივანე როსტომაშვილსა და მერე მ. გობეჩიას რომ ჰკითხო, ეს ,,ფარნაოზ-ამირანი‘‘ ანკარა წყაროა პოეზიისა. როგორღა კმარა, რომ აგერ შვიდი თვეა ჟურნალი იბეჭდება, ეს ,,ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული‘‘ აჯაბსანდალი, და მისს რედაქციას იმდენი გემოვნება ვერ გამოუჩენია, რომ გ ო ბ ე ჩ ი ა დ ა ნამდვილ პოეზიისაგან გაარჩიოს და ამ ნიახურის პოეზიის აბდა-უბდათი არა ჰკვებოს თავისი მკითხველები, ეს კიდევ რა არის, წარმოიდგინე, რედაქციას ხალხური ლექსიც ვერ გაურჩევია არა-ხალხურისაგან: ივნისს-ივლისის №-რის მე-719 გვერდზედ ხალხურის ლექსის სახელით დაბეჭდილია ვილაც გ. თავახელის ლექსი, რომლის ქვეშ სახელის მოწერას თვით ბ-ნი მეტრეველიც-კი იუკადრისებს, ეს ,,გულის გულში დამტრიალებელი‘‘ მგოსანი. ივანე როსტომაშვილმა ხალხსაც კი, ამ დიდებულს წყაროს პოეზიის სიმდიდრისას, გობეჩიასებურ მუზას მსგავსი ნაჩხაბნი მიათვისა დ ვილაცის ხელეჩოთი ნაჩორკნი აბდა-უბდა ხალხის ნაწარმოებისაგან ვერ გაარჩია. ამისათვის ნუ თუ ღირსი არ არის ივანე როსტომაშვილი თვისთა მგოსანთა გუნდითურთ სამართალში იქმნას მიცემული დ დასჯილი, თითონ ვითარცა უნიჭობის წამქეზებელი დ მ. გობეჩია დ მსგავსნი მისნი-კი როგორც „მტკნარნი უნიჭობანი“ დ ესტეტიურ გემოვნების გამამწარებელ-დამამძაღებელნი? მიბრძანე ერთი, რითია ასეთ შედღვებილ დ შეზელილ, ყალბ პოეზიის ხალხში გამსაღებელ-გამავრცელებელი ყალბ ერბოს გამყიდველზედ უკეთესი? იმისი ერბო თუ კუჭს მომიშლის, განა „მოგზაურის“ ცრუ-პოეტთა კრებულის ნაწარმოები უარესს არ დაჰმართებს ჩემს გულსა და სულს, რომლის მუსიკაც პოეზიაა. თუ ყალბ ერბოს გამყიდველს კანონი სამართალში აძლევს დ სჯის, ყალბის პოეზიის გამყიდველი რად უნდა ასცდეს სასჯელს?!. მიპასუხე, განა კანონმა ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს?! მკითხა ეხლა-კი გაჯავრებით ფეტვაძემ დ ქუდს წამოავლო ხელი.

— სასტიკი ხარ, სასტიკი!-მეთქი, ვუპასუხე ძლივს რამდენისამე ხნის სიჩუმის შემდეგ, რადგან სხვა პასუხი ვერა მოვუნახე-რა.

— ავს რომ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქვაო?!.“

მომაძახა ფეტვაძემ თავისის საყვარელ მგოსნის სიტყვები და განმშორდა.

განა რომ უცნაური კაცია ეს ფეტვაძე, მკითხველო?!

ჩიორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის რწმუნებული ნატუნი, რომელმაც ჩინეთის მხრივ იაპონიის მთავრობას სინანული უნდა გამოუცხადოს საელჩოს კანცელარიის უფროსის სუზიამის მოკვლის გამო, სამშაბათს შანჰაიში მოვიდა. ნატუნს აზრადა ჰქონდა ოთხშაბათს გასდგომოდა გზას, მაგრამ შანჰაიში დარჩენის ბრძანება მოუვიდა.

კააპენჰაგენი. დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დანიის პრინცი ვალდემარი აქ მოვიდნენ და საგანგებო მატარებლით ფრედენსბურგის სასახლეში წაბრძანდნენ.

კონსტანტინეპოლი. იმის გამო, რომ საფრანგეთის ელჩი არა ერთხელ დაემუქრა ოსმალეთს, კონსტანტინეპოლიდგან წავალო, სულთანმა, სცნო რა, რომ ცნობილი შეთანხმება ეწინაალმდეგება ოსმალეთის ინტერესებს, გამოსცა, როგორც გუშინ იყო ნაუწყები, ბრძანება, რომელიც ფრანგთა საზოგადოებას ანიჭებს უფლებებს, კონცესიის გამო გამოცემულ ფირმანში აღნიშნულ უფლებათა თანახმას. ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის მთავრობას წინანდელზედ უფრო სასარგებლოდ მიაჩნია. ამასვე სცდილობდა კონსტანი, ადრევაც ორის წლის წინად პორტასა და საზოგადოების შორის მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ. პორტას შეუძლიან მომავალის წლის განმავლობაში გამოისყიდოს სანაპიროები, რითაც უქმნდება საიჯარო ხელშეკრულების ის მუხლი, რომლითაც პორტას 40 წლის განმავლობაში გამოსყიდვის უფლება აქვს. აღნიშნული უფლება საზოგადოებისა უმთავრესად ეხება ბოსფორის გამართვას გალათასა და სტამბოლს შუა, აგრეთვე იმ მიწების გაყიდვის უფლებას, რომელიც წყლის ნაპირის მახლობლად მდებარეობს, და საწყობების გამართვას. გუშინ გამოქვეყნებულ ირადეს თანახმად, პორტამ უნდა გადაუხადოს საზოგადოებას 700,000 ფრანკი იმ ზარალის სანაზღაუროდ, რომელიც საზოგადოებას მოუვიდა ორის წლის განმავლობაში სანაპიროების გამოსყიდვის შესახებ უნაყოფო მოლაპარაკების დროს.

პარიჟი. გაზეთები წინადადებას აძლევენ მთავრობას რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცის მოსვლის დღე საერო დღესასწაულად გამოაცხადოს და ამის გამო დახუროს ამ დღეს არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებანი, არამედ ბირჟები, მაღაზიები და კანტორები-კი, რათა ყველას შეეძლოს საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მიღება.

პოტსდამი. პრინცი ცუნი გუშინ საღამოთი უქეიფოდ შეიქმნა ბაზელში; ყოველივე მზადება იმის მისაღებად გადადებულ იქმნა. იმპერატორი მხოლოდ ხვალ დაბრუნდება.

ხარკოვი. ექზამენები სამკურნალო გამოსაცდელ კომისიაში დანიშნული, 1—14 სექტემბრისათვის. თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი კლეინი.

ლონდონი ვინბურგიდგან იუწყებიან, რომ, როგორც ისმის, შტეინი და დევეტი მდინარე ფიშის მახლობლად არიან, კაპის ახალშენში. ბურები წინანდელზედ უფრო წვრილ რაზმებად დაიყვნენ; ეს რაზმები ღამ-ღამე დაწრწიან, რის გამო მათთან ბრძოლა უფრო ძნელი შეიქმნა. ბურებს წინანდელზედ უფრო უადვილდებათ სანოვაგის შოვნა. ყოველთვის მოსდით მათ საიდუმლოდ ცხენები.-ორი დიდი რაზმი, 700 კაცისგან შემდგარი, უკუ-გდებულ იქმნა მაშინ, როდესაც ამ რაზმებმა ორანჟეს მდინარეზედ გასვლა და კაპის ახალშენში შესვლა განიზრახეს.

14 აგვისტოს.

პეტერბურგი. 13 აგვისტო უკანასკნელი დღე იყო დიდის ალლუმებისა. მისმა უდიდებულესობამ დედოფლის იმპერატორის ალექსანდრე თეოდორეს ასულთან ერთად კეთილ ინება და დაესწრო ალლუმში მონაწილეობის მიმღებ მთავარ ჯართა შეტაკებას, რომელიც კრასნოე სელოს დასავლეთით მოხდა. აქ ხელმწიფე იმპერატორმა შეაჩერა ალლუმი, შემდეგ შუნგაროვთან მიულოცა აფიცრობის მიღება სამხედრო სასწავლებლებში სწავლადამთავრებულ იუნკრებს. აფიცრობა ებოძა 1,262 იუნკერს.

ვენა. როგორც „Frem.“-ს გაუგონია, ის ხმები, რომ იმპერიის სამხედრო მინისტრი კრიგხამმერი სამსახურს თავს ანებებსო, საფუძველს მოკლებულია.

ლონდონი. კიტჩინერი იუწყება პრეტორიიდგან: „მივიღე გრძელი წერილი შტეინისაგან, რომელშიაც დაწვრილებით აწერილია ბურების საქმეები და ნათქვამია, რომ შემდეგშიაც ვიბრძოლებთო. მივიღე აგრეთვე მოკლე წერილი დევეტისა იმავე აზრისა, და ბოტას წერილი, რომელშიაც პროტესტია გამოცხადებული ჩემიერ გამოცემულ პროკლამაციის წინააღმდეგ და აგრეთვე განზრახვა ბრძოლის განგრძობისა მეორეს მხრივ, იმ ბურთა რაცხვმა, რომელნიც გვმორჩილდებიან, შესამჩნევად იმატა.“

მეორე დეპეშა კიტჩინერისა, პრეტორიიდგან გამოგზავნილი, იუწყება, რომ სამი აფიცერი და 65 ჯარის-კაცი, რომელნიც ლედიბრანდტიდგან მიდიოდნენ ელლიოტის რეზმის მარჯვნით, სამოქმედოდ მოუხერხებელ ადგილას მოჰყვნენ და 9 აგვისტოს დილით ტყვედ ჩაუვარდნენ მტერს. ერთი ჯარის კაცი მოკლულ იქმნა, 4 დაიჭრა, დანარჩენნი ტყვედ მოჰყვნენ, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. კიტჩინერმა გამოძიება დანიშნა.

ბერლინი. ჯართა მთავარი მკურნალი კესლერი გარდაიცვალ.

კონსტანტინეპოლი. საფრანგეთის ელჩი კონსტანი დროებით დაეთხოვა სამსახურს და დღეს წავიდა აქედგან.

იოკაგამა. როგორც სეულიდგან იუწყებიან, საფრანგეთის სადიპლომატო წარმომადგენელს მრავალი მოთხოვნილება წარუდგენია თურმე. სხვათა შორის მოუთხოვნია 5,000 იენის ჯილდოს გარდახდა იმ ზარალისათვის, რომელიც ფრანგებს ქველპარტის კუნძულზედ მომხდარ არეულობის დროს მოუვიდათ, და დასჯა ამ არეულობაში მონაწილეობის მიმღებ 50 კაცისა.

ბაზელი. როგორც ამბობენ, პრინცი ცუნი ჯერ არ განაგრძობს გზას პეკინში გამოწვეულ ახალ დაბრკოლებათა გამო. სადგომი პრინცისა და იმის თანამგზავრთათვის ათის დღითაა დაქირავებული.

პარიჟი. „ჰავასის სააგ.“-ო ამბობს, რომ კონსტანი ოსმალეთმა სავსებით დააკმაყოფილაო. გადასაწყვეტია ეხლა მხოლოდ იმ თანხის რაოდენობა, რომელიც პორტამ ლორანდოსა და ტუბინის უნდა გადაუხადოს. საქმის ასე საკეთილოდ დაბოლოებისა გამო კონსტანმა შესაძლებლად სცნო საელჩოს საქმეები ლაბასთვის მიენდო.

ლონდონი. კიტჩინერი იუწყება პრეტორიიდგან: „6 აგვისტოს 32 ბური მოკლულ იქმნა, 24 დაიჭრა, 139 ტყვედ წამოვიყვანეთ და 185 დაგვმორჩილდა. ხელთ ჩავიგდეთ 245 ურემი, 286 ცხენი და 6615 საქონელი. გენ. ბლედის ჯარი მიდდლებურგთან მოვიდა, წინააღმდეგობა არავის გაუწევია. პოლკოვნიკები ოლტენბი და კეკევიჩი მაგალიის მთების ჩრდილოეთით მდებარე ოლქებიდგანა სდევნიან ბურებს. აქაც დაგვმორჩილდა მრავალი ბური, მათ შორის კრიუგერის შვილი-შვილი. გენერალის ნოქსის ჯარი არც ერთს წამს მოსვენებას არ აძლევდა ტრანსვაალელებს. კაპის ახალშენის რაზმები და მეამბოხენი მოხერხებულად არიდებენ თავს ჩვენ ჯარს. გენერალს ბიტსონის ჯარი ჩრდილოეთით სდევნისო შეპერსის. რაზმს უნიონსდალთან ათი გუსარი ტყვედ ჩაუვარდა მტერს; დღემდე ესენი არ გაუნთავისუფლებიათ. 8 აგვისტოს ფორსმიტის მახლობლად მოკლულ იქმნა 4 ჯარის-კაცი და რვაც დაიჭრა“.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიq 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საავარაკო მატარებლები:

საავარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საავარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ქიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საბჭო

აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 18 აგვისტოს საბჭოს სადგომში, ქუთაისს, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქიათურაში საავადმყოფოსთან სადგომებისა (სამუშაო 1075 მან. 49 კაპეიკისაა) და ორის სამრეწველო გზის გამართვის საქმეები (სამუშაო 576 მან. 30 კაპ.), სულ 1651 მან. 79 კაპეიკისა. იჯარა ერთ კაცს მიცემა. მსურველთ ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარადგინონ ბე 10°/₀ საიჯარო თანხისა ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებათ. ხარჯთაღრიცხვისა და პირობე³ის გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (3—6.—2)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგეს ადგილი**. ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25°/₀.

(—6—)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—21)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც

ᲗᲛᲐ ᲡᲪᲕᲘᲕᲐ



მე, M-me ...
ნია ლავო, გამ...
გონელი თმის ...
სამგზრებელ და ...
ზრდელ სითხის

„ფენომენისა“

ტფილისში ჩამოვედი და ...
ბი ძალიან ცოტა ხანს, რასაც ...
უწყებ პატივცემულს საზოგადოებას ...
სითხე „ფენომენი“ იხმარება ...
კაის, ნევრალგიისთ, თავისტკი...
ლისა და სხვა ავადმყოფობის ...
სარჩენდ. მაქვს მრავალი მადლობის
წერილი იმათგან, ვინც ჩემ ...
გამოგონილი სითხე იხმარა. მსუ...
ველთ ვიღებ დილის 10-დგან 1...
საათამდე და 2 საათიდგან 6-...
რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავო

ხსენებული სითხე „ფენომენი“
ნება-დართულია სამკურნალო ...
თველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577

(4—167—3)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა.
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა
სასწავლებლებისათვის.
ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 1...
(10—35—10)